№ 117. ივნისის 2, შაბათი. 1866—1884. ივნისის 2, შაბათი. № 117.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე [illegible]; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს [illegible] ენაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია გერ დაუბრუნებს აგვლორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

«დროების» რედაქცია უმორჩილესად აუწყებს იმ პირთ, რომელნიც ადრესს გამოიცვლიან, რომ რედაქციაში უნდა წარმოადგინონ ან შვიდი შაური, ან ხუთი შვიდ კაპეიკიანი მარკა. (10—4)

საკამათო ბაასი

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა შაისის 27 საზოგადო კრებაზე.

ჩვენ განემარტეთ მნიშვნელობა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა“, აზრი მისის დაარსებისა, მოკლედ გავაცანით მკითხველებს მის მოქმედობის ანგარიში წარსულის საანგარიშო წლის განმავლობაში. ახლა ორიოდე სიტყვას კიდევ ვიტყვით თვით იმ ბაასზე, რომელიც გაიმართა წევრთა-შორის წლიურის ანგარიშის წაკითხვის შემდეგ.

საზოგადოების წლიურის ბიუჯეტის სიმცირემ მიიქცია წევრთა ყურადღება და ერთმა მათგანმა, სახელდ. ა. ფურცელაძემ ჩამოაგდო ლაპარაკი იმაზედ, თუ როგორ გაძლიერდეს საზოგადოების შემოსავალი და სთქვა, რომ ამ აზრით, ვგონებ, ურიგო არ იქნება და შეიძლება კიდეც, გამოჩენილ ფალავანთა ჭიდაობა გაიმართოს და შემოსავალი წერა-კითხვის გავრცელებისათვის გადაიდოსო.

ივ. მაჩაბელი. შეძლებით რატომ არ შეიძლება, თუ კი შემოსავალი რამ იქნება.

ნ. დიასამიძე. ჩემის აზრით, თუ გსურთ, რომ «საზოგადოებას» მეტი საშუალება ჰქონდეს და ფული ბლომად შემოსდიოდეს, კაცები უნდა იყოლიოთ, რომელთაც სხვათა შორის ეს საქმეც უნდა ჰქონდეთ მინდობილი. უამისოდ ფულების მოგროვება შეუძლებელია.

ა. ფურცელაძე. მაგ გვარ კაცების შემწეობით რატომ ბალები კი არ უნდა გაიმართოს ყველა სამაზრო ქალაქებში: ბორში, თელავში, სილნაღში და სხვაგან. ბალები უფრო მეტს შემოსავალს იძლევიან, ვიდრე სპეკტაკლები. სპეკტაკლებზედ ძალიან ნაკლებად დაიარება ხალხი.

ვას. მაჩაბელი. მთავრობა ნებას აძლევს, რომ ქველ-მოქმედ საზოგადოებათა სასარგებლოდ ლოტარეიაც კი გაიმართოს ხოლმე, ხოლო ყველას მოეხსენება, ლოტარეია რა გვარად მოქმედობს ხნეობაზე. ჩვენ თუ ბალებსა და სპეკტაკლებს გავმართავთ, ამით ხალხის ხნეობას მაინც არაფრით არ შევეხებით.

ბ. ვას. მაჩაბლის აზრს ლოტარეიის გამრყენელ ზედ-მოქმედობაზე წინააღმდეგი აზრი არ გამოუწვევია წევრთა-შორის, მხოლოდ ზოგიერთმა სთქვა, ლოტარეიაც რომ გავმართოთ ხოლმე, ეს იქნება საზარალოც იყოს, მაგრამ ღარიბებისთვის კი არა, მდიდრებისთვის იქნება საზარალოო.

ა. ფურცელაძე. ლოტარეიაში ის კი არ იღებს მონაწილეობას, ვისაც ფული უჭირს, არამედ იმას ეხსნება მადა და ჭინი მოგებისა ლოტარეიაში, ვისაც მომეტებული აქვს.

ა. დულაძე. ისევ სხვაზე რომ ვილაპარაკოთ, ის ემჯობინება, ვგონებ. მაგ. წევრებს რატომ არ შემოაქვთ თავიანთ ხვედრი საწევრო ფული?

ივ. მაჩაბელი. მაგ საგანზედ ჩვენცა ვფიქრობთ და მხოლოდ ერთი ღონე მოვიგონეთ, ე. ი. ვსთხოეთ კრებას, რათა მოგვცეს ნება, რომ გაზეთის შემწეობით მივმართოთ იმ წევრთ, რომელთაც ხვედრი ფული არ შემოუტანიათ და დავბეჭდოთ მათი სახელი და გვარი.

ა. მირზაშვილი. ბევრი ისეთია, რომ ექვსი მანათის შემოტანა ერთად გაუძნელდება, უნდა კია, რომ თავის მხრითაც ცოტაოდნად ყოველ-წლიურის გადასახადით შეეწიოს „საზოგადოებას“.

ა. ფურცელაძე. ექვსი მანათი კი მემოიტანოს წლის დამლევამდე და თუნდა კაპეიკობით გადიხადოს ხოლმე. მაგრამ საქმე ის არის, რომ საწევრო ფულით მაინც ვერას გავხდებით, თუ სხვა წყაროები არ მოვნახეთ.

ა. დულაძე. დამფუძნებელ-წევრთა შორის, რომელთაც ოც-ოცი მანათი უნდა შემოიტანონ, არიან ისეთნი, რომელთაც არაფერი არ შემოუტანიათ რამდენისამე წლის განმავლობაში?

გ. ქართველიშვილი. ბევრნი არიან.

ა. დულაძე. მაშ გამოვრიცხოთ.

თავსმჯდომარე კრებისა, ნ. ცხვედაძე. გამორიცხვა არ იქნება. მაგ ნაირად შეიძლება იმდენი გამოირიცხოს, რომ კანონით საჭირო რიცხვი აღარ დარჩეს „საზოგადოების“ არსებობის განსაგრძელებლად.

ივ. მაჩაბელი. გაზეთში რომ გამოვაცხადოთ იმათი სია, ვისაც არ შემოუტანია, ვგონებ, ისა სჯობიან.

მდივ. დ. ჯანაშვილი. ძალიან ბევრნი არიან საქართველოში, თვით წევრთა შორისაც, ისეთნი, რომელთაც, იქნება, ძალიანაცა ჰსურთ საქველ-მოქმედოდ გადასდონ რამოდენიმე ნაწილი თავიანთ შემოსავლისა, მაგრამ არ იციან, სად არსებობს საქველ-მოქმედო საზოგადოება, ან როგორ მოქმედობს იგი. ამისათვის მე მგონია, საზოგადოება კარგს იზამდა, თუ დაბეჭდინებდა თავის მოქმედობის ანგარიშს და გაუგზავნიდა წევრებს. მაშინ მრავალნი შეიტყობენ მის არსებობას, მოქმედობას და ბევრი მათგანი შემწეობასაც არ დაიშურებს.

ვას. მაჩაბელი. მე ერთს პრაქტიკულს საგანს მინდა შევეხო. პეტერბურგში ახალ-გაზდობამაც კი რიგიანად არ იცის, რას მოქმედობს და რას აკეთებს «საზოგადოება» და იმედიცა აქვს მასზედ დაკარგული. თუ ახალგაზდობამ არ იცის, ცხადია, ბევრს სხვასაც არ ეცოდინება. პეტერბურგში სცხოვრობს სამეგრელოს მთავრის-ძე, თ. ნ. მინგრელსკი, და მან არ იცის, მაგ., ან რა უფლება აქვს საზოგადოებას მინიჭებული მთავრობისაგან, ან რა სიმტკიცით არსებობს ან ერთი, ან მეორე. მან ამას წინად შემოსწირა საზოგადოებას დიდი სურათი შოთა რუსთაველისა; საზოგადოებამ მადლობა უნდა მისწეროს ამისათვის. მას მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა აქვს და რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის, რომ ამასაც „საზოგადოებას“ შეეწირავო.

ყველამ ერთხმად გადასწყვიტა, მიეწეროს მადლობა თ. ნ. მინგრელსკის სურათის შემოწირვისათვის.

(დასასრული ხვალ.)

შინაური ქრონიკა

═ იმის დასამტკიცებლად, თუ რა გვარის გულ-გრილობით ეპყრობა ამიერ-კავკასიის საზოგადოება თავის ძველის ცხოვრების ძვირფას ნაშთებს, რომელნიც დაუფასებელნი არიან ისტორიისა და არხეოლოგიისათვის, ჩვენ მოვიყვანთ ერთს ფაქტს, რომელიც ამას წინად გაზ. „კავკაზში“ იყო მოთხრობილი და რომელსაც ეხლა ჩვენც გვატყობინებენ. ერთს ფოტოგრაფს ჭოზეფ ტერ-ზაქარინს უკიდნია ერთის ქურთისაგან ორი საესე ტომარა სხვა-და-სხვა ძველ სახსოვართა და ნიეთთა — სულ 20 მან. ქურთს ეს ნივთები უპოვნია ნანგრევთა შორის სოფ. იშხანს, სადაც არის ძველი ძალიან დიდი ტაძარი იშხანისა, მე-X საუკუნეში აშენებული.

აპრილის დამდეგს ოლთისში გზად გაუელია ერთს ინგლისელს ბორენს, შეუტყვია შემთხვევით ეს ამბავი და უყიდნია ფოტოგრაფისაგან, რაც რამ მოსწონებია ქურთისაგან ნაპოვნ ძველ სახსოვართაგან და მიუცია 5.600 მან. მათ შორის უფრო შესანიშნავი შემდეგი ნივთები ყოფილა: სამი ქილა, სიგრძით თითო ადლამდე, ზედ-წარწერილნი რაღაცნაირ გაუგებარის ნაწერით; ამას გარდა ერთს მათგანზე გამოხატულია კაცი და ქალი სამეფო ტანისამოსში, მეორეზე—ლომი და მზე, მესამეზე მხოლოდ მზე; შემდეგ 2 თითბრის სინი, რომლებზედაც გამოხატულია სასახლე და მის წინ მდგომარე ქალი და კაცი გვირგვინებით. ორთავ მხრივ ეს სინები მოფენილია იმგვარივე გაუგებარის ნაწერებით; ერთი ხელ-ნაწერი წიგნი, აგრეთვე გაუგებარს ენაზედ დაწერილი, და კიდევ სპილენძის ჯაჭვი, რომელზედაც დაკიდულია სპილენძისავე ხელი და ზედ რაღაც ათი ასოა დახატული. უყიდნია ეს ნივთები ინგლისელს და გაუწვენია არზრუმისკენ.

ბევკერს და გაგვკვირვებია, რას აკეთებს ქავკასიის საისტორიო და საარხეოლოგიო საზოგადოება, რომლის თავს-მჯდომარედ ირიცხება ისეთი მცოდნე პირი არხეოლოგიისა, როგორიც დ. ზ. ბაქრაძე არის, რომელიც ამასთანავე ქართველია და, მაშასადამე, უფრო გული უნდა სტკიოდეს ყოველ გვარ საარხეოლოგიო სახსოვარის დაკარგვაზე, მით მომეტებულად, თუ იგი სახსოვარი, მაგ., როგორც ამ შემთხვევაში, ნამდვილი განძი და ფას დაუდებელი სამკაულია, როგორც ჩვენის მუზეუმისათვის, ისე ისტორიისა და მეცნიერებისათვის.

═ ჩვენ ვნახეთ გუშინ სტამბაში სანიმუშოდ ამოწყობილი და დაბეჭდილი ფურცელი «საქართველოს გეოგრაფიისა», რომელიც დაწერილია ვახტანგ მეფის-ძის ბატონიშვილის ვახუშტის მიერ და რომელსაც ჰბეჭდავს ბ. დ. ბაქრაძე თავის რედაქტორობით. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ვახუშტის გეოგრაფია არსად გასაყიდად არ იშოვება ჩვენში და თითქმის ბიბლიოგრაფიულ საგანძედ არის გამხდარი და ამასთან ძვირიც იყო პირველი გამოცემა ბ. ბროსესი, რადგან ქართული და ფრანცუზული ტექსტი ერთად იყო დაბეჭდილი, უნდა ვსთქვათ, რომ ეს ახალი გამოცემა ძალიან სასარგებლო შემატება იქნება ჩვენის მწიგნობრობისათვის. მით უმეტეს, რომ ვახუშტის გეოგრაფია შედგენილია საუკეთესო მეცნიერულის მეტოდით, რაზედაც ჰმოწმობს ამას ისეთი მცოდნე გეოგრაფიულის მეცნიერებისა, როგორიც არის კარლოს რიტტერი.

═ იმავე სტამბაში ვნახეთ უკვე დაბეჭდილი ქართული არითმეტიკის ორი პირველი ნაწილი, რომელიც შედგენილია მიხ. ზაალის-ძე ყიფიანისაგან. შემდეგი ორი ნაწილი ერთ წიგნად ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება. უნდა ვსთქვათ, რომ ბ. ყიფიანი ძალიან მცოდნეა არითმეტიკისა და საზოგადოდ მატემატიკისა და თუ მან თავის არითმეტიკაში დაიცვა კანონიერი ქართუ-

ლი ენა, მეტადრე ტერმინოლოგიის შესახებ, რაზედაც ჩვენ დიდი ეჭვი გვაქვს, მაშინ ბ. ყიფიანის წიგნი სარგებლობას მოუტანს არა თუ მარტო მოსწავლე ქართველთ ახალ-თაობას, რომელთა ბედზედ დღეებანდლამდე არც ერთი ამ გვარი ქართული სახელმძღვანელო არ იყო, — არამედ პირველი წინ-გადადგმული ნაბიჯიც იქნება საზოგადოდ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურის დაარსებისა. ყველამ იცის, რომ არითმეტიკა და მატემატიკა პირველი მეცნიერებაა, რომელიც გაჩნდა ქვეყანაზე კაცობრიობასთან ერთად, დასაბამია და ქვა-კუთხედი საზოგადოდ მეცნიერებისა და არ ამ პირველის მეცნიერების სახელმძღვანელოს, შედგენილს ვრცლად და საქმის ცოდნით, ჩვენ ვიქენთ ბ-ნი ბ. ყიფიანის მიერ დაბეჭდილის არითმეტიკით.

═ ამ დღეებში გაიდგა პეტერბურგში თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის გირავნობის ფურცლები 50,000 მანათისა 82 მან. და 75 კაპეიკად.

═ საშინელს ამბავს სწერენ გაზ. «ნოვოე ობოზრენიეს» ერევნის გუბერნიიდამ სოფ. ზემო-აკულისიდამ: იქ მოსულა სეტყვა სიდიდით ბატის კვერცხის ტოლი, სიმძიმით თითქმის ერთ გირვანქამდე. სულ ათს წამს გაგრძელებულა სეტყვა, მაგრამ, ღმერთო, რა უქნია ამ ათს წამში განრისხებულს უწყალო ბუნებრიეს მოვლენას! სოფლის მიდამო სრულიად გაუნადგურებია, გაუნიადაგებია. მინდვრები, ყანები, სახლები, საქონელი და თვით ხალხი მრავლად უმსხვერპლნია ამ საშინელებას. სეტყვის შემდეგ წამოსულა გამუდმებული ძირ-მოდგმული წვიმა, სეტყვაც უცებ დამდნარა; ახლა ამის გამო აღელვებულა მდინარე და მთელი არე-მარე სულ თან წაუღია. კორესპონდენტი სწერს: მაისის 21 დღე შავი, უკუღმა დღეა ჩვენთვისაო, გონება ირყევა და იყინება, რომ ვუცქერი სურათს აკულისის აოხრებისას. სიკვდილი და აოხრება ერცელის ზოლით გადაეფარა აქაურობას წყალ-დიდობისაგამო. ერთს კაცს ვერ იპოვი, რომ, ან ასე, ან ისე არ იყვეს დაზარალებული ამ უბედურობისაგანაო.... საზოგადობრივი ცხოვრება ყოველ-მხრივ შეირყა და აღარაფრით აღარ მოგაგონებს გუშინდელს წარსულს... შიში და ზარი საყოველთაოა... აჩრდილებსავით მიდის-მოდის ხალხი მთელი დღე-და-ღამე და მოსვენებას ვერსად პოულობს. ყოველ კუთხეში, სადაც ჯერ კიდევ სულ არ გამქრალა სიცოცხლე, ისმის ტირილი და ვაება; ტირის ზოგი ქონებას, ზოგი საყვარელს შვილს, ზოგი ძმას და ზოგი მამას...»

═ ღღეს, საღამოს 8 საათზედ კავკასიის ოლქის შტაბის სამხედრო და საოჯ-ქო რჩევის დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება რუსეთის საიმპ. გეოგრაფიულის ამ კავკასიის განყოფილების წევრთა. კრებაზედ წაიკითხვენ: 1) სტენიცკი მოკლე გეოგრაფიულს აღწერას ავგანისას, 2) მგიაზაროვი წაიკითხავს წერილს შემდეგს საგანზედ: მთიელ კავკასიელ ხალხში დარჩენილი კვალი ქორწინების ძველის-ძველ ჩვეულებათა, და 3) წაკითხულ იქმნება ნაწყვეტები მთიან დაღესტანში როსიკოვის მოგზაურობიდამ.

თუ დრო დარჩება, სხვა რეფერატებსაც წაიკითხავენ.

შეუძლიანთ დაესწრონ არა წევრნიც.

═ შტაბს-კაპიტანი მიშჩენკო, რომელიც მკითხველებს კარგად ეხსომებათ და რომელსაც 8 წელიწადი კატორგაში მუშაობა გადაუწყვეტეს, როგორც „ნოვოე ობოზრენიე“ ამბობს, ხემწიფე იმპერატორს კეთილ-უნებებია და შეუწყალებია. ბადაწყვეტილი სასჯელის მაგიერ ორ თვეს უნდა იქმნას ციხეში დამწყვდეული და სამსახურში მოპოვებული უფლებანიც არ უნდა ჩამოეხადოს.

═ ერთის ოსმალურის გაზეთის სიტყვით, ოსმალთა სახალხო განათლების სამინისტროს ამ წელს 50 სკოლა გაუმართავს ქურთებისთვის ქურთისტანში. («ქავკაზი»).

═ შეცდომის გასწორება. «დროების» გუშინდელს № 116, ფელეტონში, მეორე გვ., პირველ სვეტზე მე 7 და 8 სტრიქონები ასე უნდა იყოს: სასირცხვილო, დასაძრახისი და საძაგელი არ არის ჩვენს საკუთარს საქმეში მსაჯულად სხვების გარეკვა; და სხ. მე-3 გვ. მე-4 სვეტზე რამდენთა კვირის ნაცვლად უნდა იყოს რამდენთა კვირისა.

საყურადღებოდ.

ამ ხანებში, გაზეთები ბევრს მოგვითხრობდენ იმ გაიძვერების წრეზედ, რომელიც პეტერბურგში შემდგარა და რომელსაც «შავი-გუნდი» დაარქვეს. თურმე ამაზე უფრო შესანიშნავი ამბავი ხდება ერთ მაზრაში. აქ გუნდის თავად თვითონ თურმე მომრიგებელი მოსამართლეა, რომელიც ჭკუითა და ცოდნით ისეთ საქმეებს ახერხებს, რომ ყოველ-გვარ უკანონობას კანონით ასრულებს. ჰყავს თურმე რამოდენიმე კაცი არჩეული გუნდიდან და ნებას აძლევს, რომ საქმე იმათ აწარმოვონ და ვექილებად გამოვიდენ ხოლმე და მაშინ კანონზე აღარავინ მიდის.... ცამდინაც რომ მტყუანი იყონ, მაინც ესენი იმარჯვებენ, რადგანაც მსაჯული მათკენ არის, ესე იგი თავის-თავისკენ და უკანონობას ისეთ გვარ ფორმას აძლევს, რომ მეორე ინსტანცია ველარას გააწყობს. ამ გვარად ბევრი იჩაგრება თურმე უსამართლოდ და არ იცინ, რა ქნან. ყველაზედ უფრო გასაკვირველი ის არის, რომ ეს ორი წელიწადია, სახალხოდ აღარ არჩევს საქმეს. თავის ოთახში ადგენს განჩინებას საიდუმლოდ და როგორც უნდა, ისე ატრიალებს.

გამოძიება რომ დანიშნოს თურმე, ბევრი რამ იმისთანა აღმოჩნდება, რომელიც არა დასაჯერებელს ემსგავსებაო, მაგრამ ნამდვილი კი იქნება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მსაჯული ჩინეთში უნდა იყოს, თორემ ჩვენში როგორ შეიძლება?... და თუ ჩვენშია — მაშინ კი რაღა მოგახსენოთ?...

«დროების» კორესპონდენცია

სოფ. აბაშა, მაისის 5-ს. დროების 95 № ში წავიკითხე წერილი: „ხმა ბარსაჯავოხოიდან“. ამ წერილის გამო მეც უნდა ვთქვა ორიოდე სიტყვა აბაშის საზოგადოებაზე, ამის გზებზე და აბაშის საზოგადოების მომავალ სკოლაზე. სოფ. აბაშა მდებარეს ჭუთაისის და ოზურგეთის სამზღვარზე, დაიწყება საჯავოხოს სტანციიდგან (ბათუმის რკინის გზაზე) და გათავდება ოზურგეთის გზა-ტკეცილის საჯავოხოს სტანციით (საჯავოხოს აბანო). აბაშის საზოგადოება შესდგება შემდეგი სოფლებიდან: აბაშა-ბოკნარით, 150 კომლი მცხოვრებია, ნოლა 100 კომლი, ქვაყუდე-გორმაღლით 150 კომლი და ნიგორზღვა 100 კომლამდე — სულ ამ საზოგადოებაში იქნება 500 კომლამდე გლეხნი და ერთი ოციოდე კომლი აზნაურნი და სამღვდელოენი. ამ საზოგადოების მცხოვრებნი საზოგადოდ არ არიან ისე მდიდრები, როგორც ზოგიერთა სხვა საზოგადოებანი, როგორც მაგალითებრ, ჟულაშის საზოგადოება, ხონისა და სხვა, რომელთაც კარგი გზების წყალობით შეუძლიათ მიწის მუშაობის გარდა აღებ-მიცემობით შეიძინონ სიმდიდრე. აბაშის საზოგადოება კი არა თუ კარგ გზებს არის მოკლებული, არამედ, შეიძლება ვთქვათ, რომ სრულებითაც არა აქვს გზები, თუმცა ათი ვერსი სიგრძე და ამდენივე სიგანე ექნება. მცხოვრებელნი არ არიან ძალიან მდიდრები-მეთქი, მაგრამ არც ისე ღარიბები არიან, რომ ერთი სკოლის გამართვა ვერ შეიძლონ. დიდხანია, სურვილიცა აქვსთ სკოლის დაარსებისა.

ვიდრე სკოლაზე ვიტყოდე რასმე, ორიოდე სიტყვას ვიტყვი იმაზე, თუ როგორ მოვახერხოთ, რომ ჩვენ უგზოობას წამალი რამ დაესდოთ. აბაშის საზოგადოება სულ ერთიანად მთაგორიან ადგილს წარმოადგენს და გზების გაკეთება მართლაც საძნელო არის. მამასახლისები თითქმის ყოველწლივ სჩიჩქნიან მიწას ხან იქ, ხან აქ, მაგრამ, რომ დაიაროთ მთელი საზოგადოება, ვერც კი შენიშნავთ, არის სადმე ნაკეთები გზები, თუ არა. თუ ბ. მაზრის უფროსი მიაქცევს ამ საგანს ყურადღებას, შეიძლება მოხერხდეს როგორმე კარგი გზების გაკეთება: ეხლა რომ ბათუმის რკინის გზის სტანცია საჯავოხო არის, აქედან ოზურგეთის გზატკეცილის სტანციამდე ამ აბაშის საზოგადოებაზე არის ინჟინრებიდგან გატარებული ზაზი, ძველი პლანით; ეს ხაზი გაატარეს მაშინ, როდესაც ოზურგეთზე აპირებდენ გზატკეცილის გაკეთებას, მაგრამ მერმე ეს პლანი დასტოვეს და გაიყვანეს ბოკნარის გადასავალზე (Чокнарскій перевалъ). ამ გაუქმებულ პლანზე, რომ გაკეთოს აბაშის საზოგადოებამ გზა, ვგონებთ, არც დიდი მუშაობა დასჭირდება და მშვენიერი გზაც გაკეთდება, ისე რომ თავისუფლად შეეძლება სიარული ყოველ გვარ ეკიპაჟებს და ეს გზა სწორედ მთელი საზოგადოების შუა ადგილზე გაივლის: რკინის გზის სტანცია საჯავოხოდან აბანომდე იქნება ამ საზოგადოების დედა-გზა ანუ მთავარი გზა და ამ გზასთან ადვილად შესაძლებელი იქნება ყველა ამ საზოგადოების სოფლებიდან მისვლა-მოსვლა. ერთის წლის განმავლობაში რომ ქუდზე კაცი გამოვიდეს ყორა-უქმით და პარასკევობით (პარასკევს უქმობენ ჩვენში), ყველა ამ გზებს ადვილად გააკეთებენ.

გზების კეთება უქმობით და პარასკევობით აქ თავის სურვილითაც იციან, მხოლოდ მოთავე კაცია საჭირო და ეს მოთავობაც რომ ბ. მაზრის უფროსმა ადგილობრივ პრისტავს მიანდოს, ჩვენის აზრით, საქმე გაკეთდება და ერთი უპირველესი ჩვენი სატკივარი — უგზოობა აღარ შეგვაწუხებს.

სკოლის საქმეც ასეა: კაცი რომ იყოს მოთავე და ამ საქმის რიგიანად მრჩეველი, ეს საზოგადოება თავის სურვილს სკოლის დაარსების შესახებ მალე საქმედ გადააქცევს. საკვირველია რომ იზამდეს და «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება» დანიშნავდეს ერთ თავის კაცს, რომ მოვიდეს და მოთავობა გაუწიოს საზოგადოებას, შეადგენიოს განჩინება და ეს სკოლაც თავის მფარველობის ქვეშ ექმნეს, საქმე ძალიან კარგად წავა და სკოლაც, რომელიზედაც, ათი-თუთხმეტი წელიწადი იქნება ლაპარაკობენ და ვერა მოუხერხებიათ რა, მალე გაკეთდება; მაზრის უფროსი ბ. ჩიჯავაძეც, როგორც გამიგონია, თანახმა იქნება და თავის მხრით «წერა-კითხვის საზოგადოებას» ამ საქმეში დიდ შემწეობას მისცემს. ამ უკანასკნელი ომის შემდეგ, მმართველობამ აბაშის საზოგადოებას აჩუქა რამდენიმე ცხენი, რომელიც გაყიდეს ბ. მაზრის უფროსის ბრძანებით და ფასი სკოლისთვის გადასდეს; ვგონებთ, ესე 400 მანეთამდე შესდგა სულ. მაშასადამე, რაღა ჭკლებია საზოგადოებას? ოთხას მანათამდე ეხლავე ძირის ფული აქვს და ეხლა ხარჯს სკოლაზედ ყოველ-წლივ შეუმჩნეველად გადიხდის. ის 400 მ. კი სკოლის გასამართავად და პირველ მოსაწყობად ეყოფა. ყველა ეს ადვილად ითქმის და ადვილი საქმეც არის, მართალი რომ სთქვას კაცმა, მაგრამ აბაშელებს კი გაუძნელდათ. ბამოჩნდენ ისეთი პირნი, რომელთაც კეთილი მოისურვეს საზოგადოებისთვის და აღუთქვეს მას სასკოლოდ მიწა, თუ სკოლას იქ ააშენებენ, სადაც იმათ მოსწონთ, ერთმა სტანციასთან მოინდომა, მეორემ კანცელარიასთან (ეს უკანასკნელი ალაგი ყველას სჯობიან).

შეიქნა ამით პარტიობა და საქმეც დაიშალა.

ჩემის ფიქრით, თუ სკოლა სტანციასთან გაიმართა, მით ყველა ვერ ისარგებლებს და სკო�sა ვერ იოცხლებს დიდხანს. როგორც ესთქვი, საუკეთესო ადგილი მის გასამართავად კანცელარიასთან არის და ღმერთმა ქნას, რომ აბაშელებს მალე შეესრულებინოთ თავიანთი სურვილი.

ქუთაისი, მაისის 30.—მაისი თავდება. ღმერთმა მშვიდობის გზა მისცეს. ამ მშვენიერმა გაზაფხულის თვემ წრეანდელ წელს მარტი მოგვაგონა. წვიმები, ქარი, სიცივე კიდევ არაფერი; ესენი ხომ ჩვეულებრივი მოვლენანი არიან გაზაფხულზე, თოვლიც-კი გვესტუმრა მაისის 2-ს. არავის ახსოვს იმერეთში ამ დროს თოვლი. ამბობენ, ბევრს ალაგს ხილეულობა დაზიანაო. ფილტვების ანთების გახშირებაც ამ გარემოებას უნდა მიეწეროს.

ჩვენს ცხოვრებაშიაც ამ თვეში არაფერი შესამჩნევი რამ არ მომხდარა; კოტრობა-კი ბევრი გახლდათ. ვინ არ გნებავთ, რომ არ კოტრდებოდეს. ოჩრი ძმანი ბეთანოვები უკვე დაატუსაღეს.

წარმოდგენა ბრიბოედოვის კომედიისა «ვაი ჭკუისაგან», ბ. ნიკო დადიანის ლექცია და ბენაევისაგან გამართული კონცერტი სასულიერო გალობისა და საერო სიმღერებისა ღირსნი არიან, რომ ამ თვის დღიურში მოვაქციოთ. «ვაი ჭკუისაგან» კარგად ითამაშეს. მოთამაშენი იყვნენ სცენის მოყვარენი. ხალხიც ბევრი დაესწრო წარმოდგენას. ლაზათიანად ითამაშა კ. მესხმ (ჩაცკი) და ან. ლორთქიფანიძემ (ფამუსოვი). კომედია ცუდად არის ნათარგმნი; ტაშის კვრა და «ბრავოს» ყვირილი გაუწყვეტელი იყო.

ბ. ნ. დადიანის ლექციის საგანი იყო ისევე ქართველობა, მისი იდეალი და მისწრაფებანი. ამ ლექციაში ლექტორს უფრო ეტყობოდა მომზადება.

ბ. ბენაევისაგან გამართული კონცერტი მაისის 27 მართლა რომ საუცხოო იყო. იგალობეს ქარბელაშვილის საეკლესიო გალობა შესადარებლად ბურულ კილოსთან. ქახურმა, მეგრულმა, ზემო-იმერულმა და გურულმა სახალხო სიმღერებმა ყური ასიამოვნეს, და გული დაგვიტკბეს.

ბ. ბენაევს კარგად უნდა ესმოდეს გალობის და სიმღერის საქმე.

დღეს დაიწყო თაეად-აზნაურთა კრება ბანკის შესახებ. როგორც ეტყობა, ეს კრება ძალიან ცხარე უნდა იყოს. დიდი ფაცა-ფუცი და მითქმა-მოთქმაა. ვნახოთ, რა იქნება!!!

ბ. ბ.

შენიშვნები.

«ასი გმართებს გაგონება, არ გეყოფის არ ერთხელი» — სწორედ ესევე ეთქმის ჩვენს საზოგადოებას იმის გამო, რასაც ჰქვია კლასიკურის მწიგნობრობის აღდგინება და მისივე ბიბლიოთეკის დაფუძნება. ამას წინად, ჩვენ ვაცნობეთ მას, თუ რა მდგომარეობაშია თ. ნ. წერეთლის გარდაცვალების შემდეგ ზურაბ სახლთუხუცესისაგან შეკრებილი წიგნთ-საცავი, და რადგანაც, ჯერ-ჯერობით, არავითარი საყურადღებო ლონის-ძიება არ არის მიღებული ამ ისტორიულისა და ლიტერატურულის საგანძის შეძენისათვის საზოგადო საკუთრებად, ამიტომაც კვლავად უნდა გავუმეოროთ ამ საგანზე საუბარი. ჩვენი შიში ამ შესანიშნავის ბიბლიოთეკის ხელ-უხლებლად დაცვაზე, რომელიც გამოვსთქვით „დროებაში“, უკვე მართლდება, ყოველის განათლებულის კაცის სამწუხაროდ... მაგალითად, თ. დ. წ. ჩაუგდია ხელში პონტოელ პილატეს მოხსენება იესო ქრისტეს ჯვარცმაზე — იშვიათი ხელთ-ნაწერი, რომელიც ნახსენებს ბიბლიოთეკას ეკუთვნოდა და, ყოველ შემთხვევაში, დიდად საინტერესოა, როგორც სინოპტიკური ცნობა კაცობრიობის ამაღორძინებელზე...

მართალია, თ. დ. წ—ის ხელში ეს ხელთნაწერი უფრო უშიშარს ადგილს მოქცეულა, ვიდრე მისი სხვა ამხანაგნი, მაგრამ ვინ დაგვარწმუნებს, რომ როგორც ეს მოხსენება ჩაუვარდა დ. წ—ს, ისე სხვებს, ვისმე ოჩან-პეტრეებს არ ჩაუვარდეთ მთელი ხროვა ხელთნაწერთა ამ ბედ-შავის ბიბლიოთეკიდამ??

***

ქალაქ-დამნის გამოცემა, როგორც ვიცით, იკისრა საპატიო თ-დმა ბრიგოლ ბურიელმა, რომელმაც ამ საგნის შესახებ მიჰმართა ჩვენს პატივცემულს არხეოლოგიურ-ისტორიოგრაფს დიმ. ბაქრაძეს ფრიად საინტერესო წერილით, რომლიდამაც მიმღების ნებართვით ამოგვაქვს ერთი საყურადღებო ადგილი, კავშირის მქონე ამ შენიშვნების საგანთან:

«მე მახსოვს, განსვენებულმა დავით დადიანმა დროებით სთხოვა თ-ს სვიმონ აბაშიძეს ერთი ძველი ხელთნაწერი — ხუცურად წიგნი, წოდებული სტროგონოლრაფიად... წაიღო და აღარ დაუბრუნა... წიგნი მშვენიერი ხელთ-ნაწერი იყო და არა ნაკლები ბიბლიისა. ვგონებ, ის წიგნი იყო ძველი ისტორიული ნარკვევი, შეკრებილი საქართველოისა და საბერძნეთის ისტორიათაგან, ყველა საუკუნეთაგან, ხრონოლრაფიულად. ეს წიგნი ახლა ნიკოლოზ მეგრელსკის ბიბლიოთეკაში უნდა იყოს...

...«შეგვიძლია საზოგადოდ მივმართოთ თხოვნა თ. ნიკოლოზ მეგრელსკისადმი, რომ ჩვენ გადმოგვცეს მამის მისის დანაშთი ქართული ბიბლიოთეკა, რომელშიაც, მე ვიცი, ძვირფასი ისტორიული წიგნები იყო, და მსგავსი არსად ახლა არა ჩანან. ქართველის ღირსება თ. ნიკ. მეგრელსკისა, უეჭველია, პატივისცემით მიიღებს და შეიწყნარებს ამ საზოგადო თხოვნას...

...«ეგრეთვე განსვენებულს თ. ირლორთქიფანიძესაც ჰქონდა ძველი წიგნები და კიდევაც სამეგრელოში დედოფალთან ყოფნის დროს მრავალი შეიძინა, და ახლა მისს ძმას ბარნაბას აქვს*). ამასაც მოვესთხოვოთ ქართველობამ, როგორც ქართველს...

...„სამეგრელოში ნიკ. დადიანის დიდი ბიბლიოთეკა მისს შვილებს დაშთა — პეტრეს და მისს ძმებს. მრავალის სამეცნიერო წიგნებით ის ბიბლიოთეკა არა ნაკლები იყო ზურაბ წერეთლის დანაშთს წიგნთ-საცავზედ. ამათაც უნდა მოვესთხოვოთ საზოგადო ქართველობის სახელზედ!“...

ყველა აქ ჩამოთვლილ პირთა ხელში ხელთნაწერნი ფუჭდებიან პატრონთ განხრახვით კი არაო, ამბობს ბოლოს პატივცემული ბრიგ. ბურიელი, ჩვენის ჩვეულის დაუდევრობის წყალობით, რომელიც მომავდინებელ ცოდვად უნდა ჩაითვალოს ამისთანა საშვილის-შვილო საქმეში, მაგრამ, მოგეხსენებათ, «ჩვეულება სჯულზე უმტკიცესიაო!»

წინადაც და ახლაც მიგვიქცევია და მივაქცევთ ამაზე „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ ყურადღებას, რადგანაც დღეს-დღეობით ის არის ჩვენში ერთად-ერთი ოფიციალური საზოგადოება, რომელსაც მისი წესდება ეალად სდებს ბიბლიოთეკების დაფუძნებას, და რომელსაც ვერც ერთი ზემოხსენებული პირი და ვერც სხვანიც — ვერ ეტყვიან, რაც უნდა არ ეპიტნავოთ მისი თხოვნა: «ვინა სართ, ვინა ბძანდებით, რა გნებავთ ჩემგანო!“..

ჯ.

უცხოეთი.

ინგლისი. ამას წინად ლონდონიდგან მოსულმა ტელეგრამამ გვაუწყა, რომ მაისის 30 (18) ლონდონში ვიდაც ბოროტ-გამძრახველთ რამდენიმე ადგილას დინამიტი აფეთქეს. ეხლა ინგლისური გაზეთები იწერებიან, რომ ამ აფეთქებისგან ოცამდინ კაცი დაჭრილა და, როგორც ეტყობა, არც ერთი მათგანი არ მოკვდებაო. ყველაზედ უფრო ძლიერ დაჭრილან ერთი პოლიციელი, რომელიც ყარაულად თურმე იყო სკოტლანდ-იარდის ეზოში, და ერთიც ქარლტონის კლუბის მზარეული დედა-კაცი. ექიმებს იმედი აქვთ, რომ ორივენი მორჩებიანო. უკანასკნელი სახეში და კისერში არის თურმე დაჭრილი. აფეთქების შემდეგ ის მთელი ნახევარ დღე ყოფილა გულ-შეწუხებული და ძლივსა-ძლივს მოუბრუნებიათ. უმეტესი ნაწილი ამ უბედური შემთხვევის დანარჩენ მსხვერპლთა ქარლტონის კლუბის მოსამსახურენი არიან. იმათ დიდი არა ვნებიათარა, — ზოგი მათგანი ცოტად დაშავებულა და ზოგიც შიშისაგან გამხდარა ავად. აფეთქება მომხდარა ამ კლუბის უკანა-ეზოში და ამ დროს 18 დამდინ დედა-კაცი საჭმელს თურმე ამზადებდენ კლუბის სამზარეულოში; მათგანი მხოლოდ 9 დაზიანებულა. შენობის კედლები გადარჩენილან დანგრევას და მხოლოდ აფეთქების ძალას ზოგიერთა ადგილას აგურები გამოუგლეჯია; მაგრამ ფანჯრები კი თავის ჩარჩოებით სულ ლუკმა-ლუკმა დამსხვრეულან და თითქმის მტვრადა ქცეულან. ბაზეთების აზრით, ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ნამდვილად დინამიტი იყო ნაფეთქები და არა რომელიმე სხვა, უფრო სუსტი, საფეთქებელი ნივთიერება. უმეტესს ნაწილს ამ შემთხვევისაგან დაზიანებულთა პირის-სახე აქვთ თურმე გაფუჭებული შუშის მტვრისაგან, რომელიც სქლად მოსდებია კლუბის იატაკს.

სკოტლანდ-იარდში მომხდარი აფეთქებისაგან, როგორც ზემოთა ესთქვით, მარტო ერთი პოლიციელი დაჭრილა, მაგრამ ამ აფეთქებას ნახევარ შენობა თითქმის სულ ერთიანად დაუნგრევია.

მესამე აფეთქებას შუშები მთლად დაუმსხვრევია და დაუნგრევია ფანჯრის-ძირი ქარლტონის კლუბის გვერდით, ვიღაც ბარონეტის სახლში. რადგანაც აქ მარტო ფანჯრის-ძირი დაიქცა და შენობას ამის მეტი არა ეანგარა, მცოდნე პირნი ამბობენ თურმე, რომ ეს ფანჯრის-ძირი დინამიტის აფეთქებით არ უნდა იყოს დანგრეული, არამედ რაღაც შემთხვევით ფრიად მცირე ნაწილი დინამიტისა აუფეთქებლად ამოვარდნილა მაღლა, ჰაერში, ბარონეტის სახლს მოხვედრია და ამისაგან დანგრეულა ფანჯრის-ძირიო.

ამ დროს ხსენებულს ბარონეტს სტუმრები ჰყოლია თავის სახლში; მაგრამ არც ბარონეტს და არც მისს სტუმრებს არა დაშავებიათ-რა, — მხოლოდ ძლიერ კი შეშინებულან.

ფეთქებას ისეთი ძალა ჰქონია, რომ კარგა დიდს მანძილზედ, შვიდი-რვა კაცი ძირს დაუცია. საზოგადოდ ამ ბოროტ-განზრახულებას უფრო შეუშინებია ხალხი და ვნება კი იმდენი არა მიუცია-რა.

პოლიცია, რასაკვირველია, მაშინვე გაცხარებული შესდგომია დამნაშავეთა ძებნას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერავინ აღმოუჩენია.

საფრანგეთი. ივნისის 1-ს (ახ. სტ.) სენატს კიდევ ჰქონია სჯა ნაქეს კანონ-პროექტზე ცოლ-ქმართა გაყრის შესახებ. ამ სხდომაზე, სხვათა შორის, სენატორს მარსელ ბარტს წარმოუთქვამს სიტყვა, რომელიც მთლად კანონ-პროექტის ავტორის, ბ. ნაქეს წინაალმდეგ ყოფილა მიმართული, და ისეთი შეუსაბამო სიტყვები უხმარია ლაპარაკში, რომლებსაც დიდი შფოთი და არეულობა აღუძრავს სენატში.

---

*) ამ პატივცემულის პირის «ქალაქ-დამნის» ერთი ეგზემპლიარი აქვსო, იმ პირთ, რომელთაც ქალაქ-დამნა უნდა გამოსცენ. თუ როგორ ზიხდებიან ძველი ხელთ-ნაწერნი კერძო პირთ ხელში, იქიდამ სჩანს, რომ რამდენიმე თვის წინად თ. ბარნაბა ლორთქიფანიძის სახლში ამის დამწერს ბევრად უკეთესს მდგომარეობაში უნახავს თხზულების ეგზემპლიარი, ვიდრე დღეს არის იგი.

მაგ. ორატორს ულაპარაკნია ბ. ნაქეს თხზულებაზე, რომელიც 1869 წელს არის გამოცემული და რომელიც ხსენებულს საგანს შეეხება, და, სხვათა შორის, უთქვამს, რომ ამ თხზულების თეორიები «წმინდა კომუნიზმიაო». ეს სიტყვები საშინლად სწყენია სენატის მარცხენა მხარეს და დაუწყვია ორატორისთვის დიდი ყვედრება და დრტვინვა. სენატის პრეზიდენტიც მარცხენა მხარეს დაჰქომაგებია და უთქვამს ორატორისთვის, რომ ის არ უნდა შეხებოდა პიროვნებას. პრეზიდენტის სიტყვებს კიდევ მარჯვენა მხარის სენატორები აუშფოთებია და ორატორისთვის დაუწყვიათ ძახილი: ,,ჩამოდით ტრიბუნიდგან, ჩვენი პრეზიდენტი ძლიერ დიდი ლიბერალია.'' ამაზედ პრეზიდენტს ცხარედ უპასუხნია: ,,მე ნებას არავის მივცემ, ჩემი ლიბერალური რწმენანი მასხარად აიგდოს.'' ბოლოს შფოთს იქამდინ მიუღწევია, რომ პრეზიდენტი იძულებული გამხდარა სხდომა დაეხურა.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(„ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ“)

მაისის 31-ს.

პეტერბურგი. დიდი მთავრის სერგი ალექსანდრეს-ძის სასძლო ივნისის 21 მოვა პეტერბურგში და მეორე დღეს ქორწინება იქნება.

სერბიის ელჩის სოფიიდგან გამოწვევის გამო ,,ჟურნალ დე სან პეტერბურ'' სწუხს, რომ ებრალო უთანხმობა ასე ძლიერ გააზვიადეს მაშინ, როდესაც შეიძლებოდა საქმე მშვიდობიანად გათავებულიყო, თუ მოიწადინებდენ და ორივე მხარე ერთმანეთს დაეთმობდენ; მაგრამ გაზეთს იმედი აქვს, რომ სხვა სახელმწიფონი ჩაერევიან ამ საქმეში და ისევ აღადგენენ მეგობრულ დამოკიდებულებას ორთა ნორჩთა სახელმწიფოთა შორის, რომელთა დანიშნულებაა მეგობრულად იცხოვრონ ურთიერთშორის და არ შეურაცხყონ ერთმანეთის თავმოყვარება.

დაბოლოებით შესდგა შეა აზიის მადნების ამხანაგობა. იგივე ამხანაგობა იწყობს ხოჯენტის ქვასნახშირის მადნების შემუშავებას.

რომი. გარეშე საქმეთა მინისტრმა მანჩინიმ დეპუტატთა პალატის კითხვებზე განაცხადა, რომ მოროკოს საქმის შესახებ იტალია ცდილობს სხვათა შორის აფრიკის უმეტესი ნაწილი ერთს რომელსამე სახელმწიფოს ხელში არ გადვიდეს, რადგანაც ამ გარემოებას შეეძლიან დაარღვიოს ხმელთა-შეა ზღვაში თანასწორობა და იტალია საშიშროებაში ჩააგდოს; ეს არის მიზეზი, რისთვისაც რომის კაბინეტმა, როდესაც საფრანგეთის ელჩს მოროკოში და იქაურს მმართებლობას უთანხმოება მოუხდათ ურთიერთ შორის, დაიწყო მოლაპარაკება მადრიდის, ბერლინის და ლონდონის კაბინეტებთან და ამავე დროს მეგობრულად, მაგრამ დაჟინებით კი, მოსთხოვა პასუხი საფრანგეთის მმართებლობას, რომელმაც დაარწმუნა იტალია, ესპანია და ინგლისი, რომ მოროკოში არავითარი ტერიტორიული და პოლიტიკური ცვლილებების მოხდენას არა ფიქრობს იგი.

ბრიუსელი. ამორჩევათა შედეგის გამო ეხლანდელმა სამინისტრომ, რომელიც ლიბერალურს დასს ეკუთვნის, სამსახურიდგან დათხოვნის ქაღალდი შეიტანა. გუშინ საღამოზე აქაურს დიდ ქუჩებზე ლიბერალებს და კლერიკალებს ძლიერი ჩხუბი მოუხდათ ერთმანეთში; რამდენიმე კაცი დაატუსალეს.

ლონდონი. ბერბერის შესახებ უწინდებერად ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგი ამბები მოდის: ზოგი ამბობს – ბერბერი უკვე აღებულია და გარნიზონი დახოცილი, ზოგიც კიდევ ამტკიცებს, რომ ქალაქი ჯერ არ აუღიათო. მმართებლობის წრეებთან დაახლოებული გაზეთი ,,დელი-ნიუს'' ამბობს, რომ ეგვიპტე ინგლისის ჯარებს ეჭირებათ 1888 წ. 1 იანვრამდინა და ეს ვადა რომ გავა, დასცლიან ამ ქვეყანას მხოლოდ სხვა სახელმწიფოთა თანხმობითაო.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ - ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲝᲛᲔᲮᲒᲠᲘᲖᲝᲠᲘᲐᲜᲗ ᲔᲞᲐᲠᲮᲘᲣᲚ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲠᲘᲐᲨᲘ ამ წლის ივნისის 8-ს დანიშნულია ვაჭრობა, ვაჭრობის განუმეორებლად, ორის დუქნის იჯარით გაცემაზედ, რომელნიც ეჩმიანიძის მონასტერს ეკუთვნიან. (3—1)

გამოვიდა და ისყიდება:

ᲒᲐᲜᲐᲙᲘᲪᲮᲣᲚᲘ.

მოთხრობა

ს. მ. მოჩხუბარიძისა (უაზბეგისა)

ფასი ათი შაური.

ისყიდება: თბილისში, «დროების» რედაქციაში და შაევრდოვის წიგნების საგენტოში.

ქუთაისში. ჭილაძის მაღაზიაში.
თელავში. ბ. როსტომაშვილთან.
ფოთში. ბ. ხუმარაძის მაღაზიაში.
(20—10)

ᲘᲜᲓᲘᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

Maison de confiance

შეადარეთ ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაის
1 მ. 10 კ.	1 მ. 40 კ.
— — 1—20	— — 1—60
— — 1—40	— — 1—80
— — 1—60	— — 2— ,,
— — 1—80	— 2 — 50
საუკეთესო 2—,,	— 3 — ,,

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოკუზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, ძურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—29)

ᲘᲜᲓᲘᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ᲛᲘᲡ-ᲐᲛᲝᲛᲔᲕᲐᲜᲘ

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშასა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—34)

ᲛᲐᲙ-ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲘ

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

ᲡᲐᲒᲚᲝᲑᲣᲡᲝ  ᲙᲐᲚᲛᲔᲑᲘ

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი საგენტო ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები ყოველის «ხელისათვის» — 25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანცერტები, რეკულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაგანები, ბორტ-სიგარები, ალბომები, რამეები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშვები ჭურჭლის საწმედად (ბორაქსი) თეთრეულისათვის, პატარა სალები იატაკისათვის, კლიონკები, ტახტები, საკარძლები, სარკეები, საკარტლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, ძეწკვები, ნემსები, მაგნიტები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტულები, ბრობკები, საბრობკები, კრანები, ფილტრები, შხოტკები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქმიო ქაღალდი ვატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

ᲙᲐᲢᲐᲣᲙᲘ — 20 Კ. (100—91)

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 ივნისიდამ 15 იელისამდე 1884 წ.

კამომტსკარი პური რუსეთის თქვილისა	—	—1	ბირ. 5 ბ.
აქაურის თქვილისა: პირველის სარისხისა	—	—1	ბ. $2^1/_2$
მეორისა	—	—1	ბ. 2 ბ.
იმავე თქვილ. თორნეში კამომტსკარი:			
პირველი სარისხის	—	—1	ბ. $4^1/_2$
მეორისა	—	—1	ბ. 3 ბ.
მესამისა	—	—1	ბ. $2^1/_2$
ჯვარის-მამი პური:			
პირველი სარის. ლავაში		1	ბ. $4^1/_2$
მეორის სარის. ლავაში		1	ბ. $3^1/_2$
მესამისა	—	—1	ბ. 3 ბ.
ძროხის ხორცი:			
პირველის სარისხისა	—	1	ბ. 9 ბ.
მეორისა	—	—1	ბ. 8 ბ.
სუკი	—	1	ბ. 16 ბ.
ცხვრის ხორცი	—	1	ბ. 9 ბ.
ღორის ხორცი:			
პირველის სარისხისა	—	1	ბ. — ბ.
მეორისა	—	—1	ბ. — ბ.

ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐ

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ 12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ ⁄ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

Доз. ценз. Тифлисъ, 1 Іюня 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. კამომტ. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.